# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959


N 11/8759

02/12/2022 8759-11-2-202212021508

შპს „მეგა ჰოლდინგი"-ს

ქ.თბილისი, ქერჩის ქ.N6გ

გიგზავნით, „შპს „მეგა ჰოლდინგი"-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის, კასპის სატყეო უბანში, 294466 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2022 წლის პირველი დეკემბრის N3132/ს ბრძანებას.

გთხოვთ, ამავე ბრძანებით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასურის ჩარიცხვა განახორციელოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი -TRESGE22, სახაზინო კოდი (ანგარიში) N707367521 და აღნიშნული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოთ სააგენტოში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, - განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება უნდა დაარეგისტრიროთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ამასთანავე, ტყითმოსარგებლე უფლებამოსილია - ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა განახორციელოს, მხოლოდ ზემოაღნიშნული საკომპენსაციო საფასურის გადახდის, ფართობის

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების დარეგისტრირების შემდეგ.

აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ ბრძანებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების (სულ: 892 ძირი, 4.47 კბ.მ.) ბუნებრივი გარემოდან ამოღება (ჭრა) არ უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, ეს ბრძანება ამოქმედდება ამავე დოკუმენტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ.

დანართი: ელ. სახით.

პატივისცემით,

ზურიკო ყელიხაშვილი

დეპარტამენტის უფროსი